

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2019 წლის 15 მარტი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ნოემბრის №119 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ნოემბრის №119 დადგენილებაში (სსმ, 04/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.130.016328) და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან ივანაშვილი

დანართი

თავი I

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17,131.8	21,374.9	10,882.7	10,492.2	19,563.8	7,502.9	12,060.9
გადასახადები	1,132.0	1,301.8	0.0	1,301.8	10,272.3	0.0	10,272.3
გრანტები	13,983.5	18,200.5	10,882.7	7,317.8	7,502.9	7,502.9	0.0
სხვა შემოსავლები	2,016.3	1,872.6	0.0	1,872.6	1,788.6	0.0	1,788.6
ხარჯები	7,430.6	8,278.4	329.8	7,948.6	10,241.5	1,259.1	8,982.4



შრომის ანაზღაურება	1,893.2	1,963.2	88.0	1,875.2	2,083.6	90.0	1,993.6
საქონელი და მომსახურება	1,077.8	1,472.8	131.4	1,341.4	1,485.7	130.5	1,355.2
პროცენტი	0.0	70.2	0.0	70.2	85.0	0.0	85.0
სუბსიდიები	3,394.6	3,490.6	101.0	3,389.6	4,471.3	99.0	4,372.3
გრანტები	22.7	15.8	0.0	15.8	21.0	0.0	21.0
სოციალური უზრუნველყოფა	706.4	852.6	9.4	843.2	840.4	9.6	830.8
სხვა ხარჯები	335.9	413.2	0.0	413.2	1,254.5	930.0	324.5
საოპერაციო სალდო	9,701.2	13,096.5	10,552.9	2,543.6	9,322.3	6,243.8	3,078.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,095.1	12,148.9	9,837.8	2,311.1	11,805.3	8,046.2	3,759.1
ზრდა	9,119.5	12,167.2	9,837.8	2,329.4	11,805.3	8,046.2	3,759.1
კლება	24.4	18.3	0.0	18.3	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	606.1	947.6	715.1	232.5	-2,483.0	-1,802.4	-680.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	200.4	947.6	715.1	232.5	-2,483.0	-1,802.4	-680.6
ზრდა	648.3	947.6	715.1	232.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	393.8	767.6	715.1	52.5	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	254.5	180.0	0.0	180.0	0.0	0.0	0.0
კლება	447.9	0.0	0.0	0.0	2,483.0	1,802.4	680.6
ვალუტა და დეპოზიტები	447.9	0.0	0.0	0.0	2,483.0	1,802.4	680.6
ვალდებულებების ცვლილება	-405.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	405.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	405.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
		მათ შორის	მათ შორის	მათ შორის	მათ შორის



	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	17156.2	21393.2	10882.7	10510.5	19563.8	7502.9	12060.9
შემოსავლები	17131.8	21374.9	10882.7	10492.2	19563.8	7502.9	12060.9
არაფინანსიური აქტივების კლება	24.4	18.3	0.0	18.3	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	17210.3	20625.6	10167.6	10458.0	22046.8	9305.3	12741.5
ხარჯები	7430.6	8278.4	329.8	7948.6	10241.5	1259.1	8982.4
არაფინანსიური აქტივების ზრდა	9119.5	12167.2	9837.8	2329.4	11805.3	8046.2	3759.1
ფინანსიური აქტივების ზრდა	254.5	180.0	0.0	180.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	405.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-54.1	767.6	715.1	52.5	-2483.0	-1802.4	-680.6

თავი II
საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 19563,8 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17131.8	21374.9	10882.7	10492.2	19563.8	7502.9	12060.9
გადასახადები	1132.0	1301.8	0.0	1301.8	10272.3	0.0	10272.3
გრანტები	13983.5	18200.5	10882.7	7317.8	7502.9	7502.9	0.0
სხვა შემოსავლები	2016.3	1872.6	0.0	1872.6	1788.6	0.0	1788.6

მუხლი 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები



განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები 10272.3 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გადასახადები	1132.0	1301.8	10272.3
საშემოსავლო გადასახადი	0.0	676.0	0.0
გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავალი	0.0	676.0	0.0
ქონების გადასახადი	555.0	625.8	500.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	324.8	381.7	325.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	107.8	106.4	100.0
ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყენებულ ქონებაზე	0.1	0.0	10.0
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	107.7	106.4	90.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	27.8	26.4	15.0
ფიზიკური პირებიდან	15.9	17.0	10.0
იურიდიული პირებიდან	11.9	9.4	5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	94.6	111.3	60.0
ფიზიკური პირებიდან	15.8	36.4	10.0
იურიდიული პირებიდან	78.8	74.9	50.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	0.0	9772.3
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	0.0	9772.3
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	0.0	9772.3

მუხლი 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები 7502,9 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	13983.5	18200.5	7502.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13983.5	18200.5	7502.9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	6471.5	7516.4	298.6



გათანაბრებითი ტრანსფერი	6281.5	7317.8	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190.0	190.0	298.6
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	8.6	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7512.0	10684.1	7204.3
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	17.2	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	4908.3	8130.7	5602.3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	672.0
საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი სახსრები	2111.5	1433.9	0.0
მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების დელეგირების შესახებ	0.0	0.0	930.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	475.0	1119.5	0.0

მუხლი 6. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1788.6 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2016.3	1872.6	1788.6
შემოსავლები საკუთრებიდან	446.1	471.1	411.0
პროცენტები	87.5	50.9	8.0
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	87.5	50.9	8.0
რენტა	358.6	420.2	403.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	357.9	419.0	402.0
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	117.9	151.6	150.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	84.8	97.5	82.0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	3.7	4.5	3.0
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	4.3	4.6	3.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	147.2	160.8	164.0



შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.7	1.2	1.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1391.2	1193.1	1185.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1278.4	1074.5	1058.6
სანებართვო მოსაკრებელი	6.5	5.2	8.0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	6.5	5.2	8.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.8	0.5
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1220.9	1016.3	1000.0
სისტემურ- ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან	1220.9	1016.3	1000.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	50.8	52.2	50.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	112.8	118.6	127.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	112.8	118.6	127.0
შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	112.8	118.6	127.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	137.6	165.1	169.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	137.6	165.1	169.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში	9.2	6.1	8.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	8.4	3.9	3.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	102.7	133.0	138.0
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	91.6	121.3	128.0
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	11.1	11.7	10.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში	0.3	0.0	0.2
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0.1	0.8	0.5
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებულ საქცილებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	10.4	12.7	12.3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	41.4	43.3	23.0



შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	41.0	0.0	0.0
სახელმწიფოსადმი მიყენებული სხვა ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი	0.4	0.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	43.3	23.0

თავი III

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები 10241.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,430.6	8,278.4	329.8	7,948.6	10,241.5	1,259.1	8,982.4
შრომის ანაზღაურება	1,893.2	1,963.2	88.0	1,875.2	2,083.6	90.0	1,993.6
საქონელი და მომსახურება	1,077.8	1,472.8	131.4	1,341.4	1,485.7	130.5	1,355.2
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	107.3	151.5	0.0	151.5	177.8	0.0	177.8
მივლინება	26.5	17.6	0.0	17.6	23.0	0.0	23.0
ოფისის ხარჯები	156.9	179.5	0.0	179.5	220.0	0.0	220.0
წარმომადგენლობითი ხარჯები	14.4	16.5	0.0	16.5	19.0	0.0	19.0
სამედიცინო ხარჯები	0.0	6.6	0.0	6.6	0.0	0.0	0.0
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	2.1	1.3	0.0	1.3	3.5	0.0	3.5
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	81.5	110.4	0.0	110.4	265.4	108.6	156.8
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	689.1	989.4	131.4	858.0	777.0	21.9	755.1
პროცენტი	0.0	70.2	0.0	70.2	85.0	0.0	85.0



სუბსიდიები	3,394.6	3,490.6	101.0	3,389.6	4,471.3	99.0	4,372.3
გრანტები	22.7	15.8	0.0	15.8	21.0	0.0	21.0
სოციალური უზრუნველყოფა	706.4	852.6	9.4	843.2	840.4	9.6	830.8
სხვა ხარჯები	335.9	413.2	0.0	413.2	1,254.5	930.0	324.5

მუხლი 8. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11805,3 ათასი ლარის ოდენობით.

ა) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11805,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

პროგრ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	91.8	105.0	0.0	105.0	53.6	0.0	53.6
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	6.0	3.5	0.0	3.5	0.8	0.0	0.8
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8349.2	11245.9	9279.2	1966.7	10068.5	7143.7	2924.8
04 00	განათლება	176.3	286.5	186.9	99.6	366.9	187.9	179
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	496.2	386.5	244.5	142.0	1285.5	714.6	570.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	139.8	127.2	12.6	30.0	0.0	30.0
	ჯამი	9119.5	12167.2	9,837.8	2,329.4	11805.3	8,046.2	3,759.1

ბ) საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
--------------------	------------	-----------------	-----------------	-----------------



31	არაფინანსური აქტივები	24.4	18.3	0.0
311	ძირითადი აქტივები	3.9	15.7	0.0
3111	შენობა ნაგებობები	3.9	15.7	0.0
31112	არასაცხოვრებელი შენობები	3.9	15.7	0.0
314	არაწარმოებული აქტივები	20.5	2.6	0.0
3141	მიწა	20.5	2.6	0.0

მუხლი 9. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,456.6	2,627.3	26.8	2,600.5	3,127.5	0.0	3,127.5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,456.6	2,627.3	26.8	2,600.5	3,077.5	0.0	3,077.5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,456.6	2,627.3	26.8	2,600.5	2,927.5	0.0	2,927.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	150.0	0.0	150.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	0.0	50.0
702	თავდაცვა	141.0	142.2	88.0	54.2	151.7	90.0	61.7
7021	შეიარაღებული ძალები	141.0	142.2	88.0	54.2	151.7	90.0	61.7
704	ეკონომიკური საქმიანობა	7,705.8	10684.9	8,853.3	1,831.6	8,712.0	6,389.3	2,322.7



7045	ტრანსპორტი	7,465.1	10455.9	8,853.3	1,602.6	7,817.8	5,700.8	2,117.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,465.1	10455.9	8,853.3	1,602.6	7,817.8	5,700.8	2,117.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	240.7	229.0	0.0	229.0	894.2	688.5	205.7
705	გარემოს დაცვა	840.9	1,050.7	341.6	709.1	902.3	16.3	886.0
7051	წარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	334.1	516.8	0.0	516.8	0.0	0.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	252.8	298.1	274.0	24.1	97.6	14.5	83.1
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	75.2	115.0	67.6	47.4	4.7	1.8	2.9
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანშაფტების დაცვა	178.8	120.8	0.0	120.8	800.0	0.0	800.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	707.9	709.4	188.9	520.5	1,812.8	760.0	1,052.8
7061	ბინათმშენებლობა	112.9	100.8	66.4	34.4	10.0	0.0	10.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	15.9	279.6	122.5	157.1	382.9	0.0	382.9
7063	წყალმომარაგება	398.8	123.8	0.0	123.8	1,198.9	760.0	438.9
7064	გარე განათება	180.3	185.8	0.0	185.8	199.0	0.0	199.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	19.4	0.0	19.4	22.0	0.0	22.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	95.0	300.8	228.2	72.6	131.0	99.0	32.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	95.0	101.0	101.0	0.0	101.0	99.0	2.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	199.8	127.2	72.6	30.0	0.0	30.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,879.5	1,817.2	244.5	1,572.7	2,897.3	714.6	2,182.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	960.6	820.6	133.3	687.3	1,179.5	0.0	1,179.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	873.9	961.6	111.2	850.4	1,682.8	714.6	968.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	45.0	35.0	0.0	35.0	35.0	0.0	35.0
709	განათლება	2,027.9	2,197.9	186.9	2,011.0	3,318.8	1,226.5	2,092.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,864.4	2,029.4	186.9	1,842.5	2,083.4	187.9	1,895.5
7096	განათლების სფეროში დამხმარე მომსახურება	0.7	8.3	0.0	8.3	1,072.1	1,038.6	33.5
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	162.8	160.2	0.0	160.2	163.3	0.0	163.3
710	სოციალური დაცვა	779.7	933.3	9.4	923.9	993.4	9.6	983.8



7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	457.4	630.4	0.0	630.4	551.4	0.0	551.4
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	426.7	605.3	0.0	605.3	500.0	0.0	500.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	30.7	25.1	0.0	25.1	51.4	0.0	51.4
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.1	5.9	0.0	5.9	20.0	0.0	20.0
7103	მარჩენადაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	15.7	17.1	0.0	17.1	20.0	0.0	20.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	185.0	173.0	8.6	164.4	228.6	8.6	220.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	4.6	5.8	0.0	5.8	10.0	0.0	10.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	50.2	56.8	0.0	56.8	37.4	0.0	37.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	59.7	44.3	0.8	43.5	126.0	1.0	125.0
	სულ	16,634.3	20463.7	10167.6	10296.1	21014.5	8273.0	12741.5

თავი IV

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივების ცვლილება და სარეზერვო ფონდი

მუხლი 10. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -2483.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2483.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ზრდა	648.3	180.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	393.8	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	254.5	180.0	0.0



3. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 2483.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ფინანსური აქტივების კლება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
კლება	447.9	-767.6	2483.0
ვალუტა და დეპოზიტები	447.9	-767.6	2483.0

მუხლი 12. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 709,515 ათას ლარს.

2. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის დასაწყისისათვის 709.515 ათასი ლარის ოდენობით.

კრედიტორები	ვალის ნაშთი 2018 წლის ბოლოსათვის
მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხი	709,515
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	709,515

მუხლი 13. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 150.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი 2019 წლისათვის განისაზღვრა 50.0 ათასი ლარით.

თავი V

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისათვის პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 15. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები.

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)
 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.



მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რაც გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას. გაგრძელდება არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდა, მათი აღდგენა და მოვლა-პატრონობა, სპორტული მოედნების მოწყობა, არსებული სკვერების მოვლა-შენახვა და მოწყობა, გამწვანების სამუშაოები და სხვა.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საავტომობილო გზების გასწვრივ, საჭიროებიდან გამომდინარე საყრდენი კედლების მოწყობა, ძირითადად საქმე გვაქვს, როგორც მეწყერული მოვლენების პრევენციასთან, ასევე რომ არ მოხდეს მიწის ჩამოშლა სავალ ნაწილზე, აღნიშნული ღონისძიებების გატარება საჭიროა მოსახლეობის უსაფრთხოების და მათი შეუფერხებელი გადაადგილების კუთხით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება არსებული ხიდებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე ახლის მშენებლობა, აღნიშნული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც მოსახლეობის უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას, ასევე მოხდება მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ასევე განხორციელდება საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ორგანიზება, ქვეითთა და სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მისასვლელ და საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა, ქუჩების რეაბილიტაცია. გზებზე საყრდენი კედლების მოწყობა, მდინარეებზე ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე საჭიროების შემთხვევაში გზის საფარის თოვლისაგან გაწმენდა და მოყინულ გზებზე მარილის მოყრა და სხვა.

. **პროგრამის მიზანი:** მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, საყრდენი კედლები და ხიდ-ბოგირები; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; ტრანსპორტის გამართული მუშაობა; საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება; მნიშვნელოვანი კაპიტალური სამუშაოების განხორციელება.

. **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** რეაბილიტირებული გზების რეოდენობა; რეაბილიტირებული საყრდენი კედლების, ხიდ-ბოგირების რაოდენობა; თოვლისაგან გაწმენდილი გზები; მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

1.1.1 საყრდენი კედლების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საავტომობილო გზების გასწვრივ, საჭიროებიდან გამომდინარე საყრდენი კედლების მოწყობა, ძირითადად საქმე გვაქვს, როგორც მეწყერული მოვლენების პრევენციასთან, ასევე რომ არ მოხდეს მიწის ჩამოშლა სავალ ნაწილზე, აღნიშნული ღონისძიებების გატარება საჭიროა, როგორც მოსახლეობის უსაფრთხოების და მათი შეუფერხებელი გადაადგილების კუთხით. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების პროექტირება; სოფლებში: ღონაში შემავალ უბნებში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; ჭორვილაში ზაზა ტყემალაძის სახლთან საყრდენი კედლების მოწყობა; კორბოულში შამბიაშვილების უბანში საყრდენი კედლის მოწყობა; მერჯევის უბნებში საყრდენი კედლების მოწყობა და სხვა.

1.1.2 თოვლისაგან გზის გაწმენდის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თოვლისაგან გზების გაწმენდა, მოყინულ გზებზე მარილის მოყრა. ამით დაცული იქნება ტრანსპორტისა და მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილება.

1.1.3 ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე ახლის მშენებლობა, აღნიშნული



ლონიძეების გატარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც მოსახლეობის უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას, ასევე მოხდება მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების (ჩიხის ადმინისტრაციული ერთეულისა და საჩხერის დამაკავშირებელი ხიდის, სოფელ პერევი შუკაკიძეების უბანში ხიდისა და სტიქიისაგან დაზიანებული ხიდ-ბოგირების) პროექტირება; სოფლებში: პერევი შუკაკიძეებისა და ტოროშელიძეების უბანში ორი ერთეული ხიდის მოწყობა(რფგ; თანადაფინანსება);

მოხვაში მდ. "მოხურაზე" არსებული ხიდის რეაბილიტაცია; დარყაში ხიდებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია; საკობიაში, პერევი ხიდების რეაბილიტაცია; საირხეში, გრძელიშვილებისა და მესხების უბნებში ხიდ-ბოგირზე მოაჯირის მოწყობა; ჯალაურთაში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ერთი ერთეული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია; მოძვში, საბიაშვილების უბანთან მისასვლელ გზაზე ერთი ერთეული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია. საპროექტო საზედამხედველო მომსახურება და სხვა.

1.1.4 ქალაქ საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. საჩხერეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ეზოების მდგომარეობა სავალალოა, ნალექის დროს გართულებულია მოსახლეობის გადაადგილება და მისვლა საცხოვრებელ კორპუსამდე, ასევე ბავშვებისათვის არ არის შესაბამისი პირობები გართობისათვის. ფაქტიურად არ არსებობს ტროტუარი, პარკინგი, მწვანე ზოლი. დაგეგმილია: ქ. საჩხერეში: მ. მაჭავარიანის, კოსტავას, თბილისისა, და გომართლის ქუჩაზე არსებული კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა; ქუჩებზე (ს. დურმიშიძე, წერეთლის, საჩხერე-ჭიათურის გზატკეცილი და სხვა) ტროტუარების მოწყობა; კინოთიატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფლატობეტონის საფარის მოწყობა (რფგ; თანადაფინანსება); ქ. საჩხერეში დარჩენილ უბნებსა და ჩიხებში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (რფგ; თანადაფინანსება); გაგრძელდება ქ. საჩხერეში დოსითეოს წერეთლის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და სხვა.

1.1.5 მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სოფლებში: საირხეში, ჯალაურთაში, კორბოულში, შომახეთში, ნიგვზარაში, ლოდორაში, ვაკისაში საუბნო გზების რეაბილიტაცია. კალვათაში გოგა კაპანაძის სახლთან ყვირილის ხრემით მოშანდაკება.

მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი და საუბნო გზების პროექტირება;

სოფელ საირხეში (მესხების უბნიდან სოფელ მერჯევის დეკანოიძეების უბანამდე) საავტომობილო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები: ქორეთის, კალვათის და პასიეთის საავტომობილო გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფლებში: ნიგვზარაში ხარაიშვილების უბანში, კორბოულში ძლევის წმინდა გიორგის ეკლესიიდან გორამირის მიმართულებით, ჯალაურთა-ბეგიაურის გზის მონაკვეთის, გორისა-გამოდმა არგვეთი-სავანე-არგვეთის, მოხვაში, გაღმა მთაში, დურევი, შომახეთში, ჭალის შემოვლითი გზის, ცხომარეთის, სავანის მეფრინველეობის ფაბრიკიდან ეთო -ეხვევის ცენტრამდე, მერჯევი მემორიალიდან ცენტრალურ საავტომობილო გზის მიმართულებით, დუნთის, კორბოულის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ჩონთოს დასახლებში, ივანწმინდაში რესტორან ჩაგებუტესთან ენუქიძეების მოსაცდელამდე, სხვიტორისა და ჩიხის დამაკავშირებელ გზაზე, პერევი სარიტუალო დარბაზიდან ბლოკპოსტამდე საავტომობილო გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა, სოფელ ლიჩიდან სოფელ ლოდორის მოსაცდელამდე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (რფგ; თანადაფინანსება);

სოფლებში: სარეკში, ბაჯითში, ქვემოხევი – მდინარის მარცხენა სანაპიროზე აბრამიშვილების უბანში ცენტრალური გზის, სხვიტორში, ჩიხაში – ჯაბა, კობა, თემური ცუხიშვილების სახლთან, ზედა ორლულში, ქვედა ორლულში, ჭალაში, ღონაში, სპეთში, დრბოში, პერევი, ჯრიაში, ჭურნალში, არგვეთში, სავანეში, მახათაურში, შალაურში, იტავაზაში, ცხამში, გორისაში, გამოდმა არგვეთში, საირხეში, ჭორვილაში, ქორეთში, კალვათაში – სოფლის ეკლესიასთან, ჯალაურთაში, მოძვში – ტყემალაძეების უბანში, კორბოულში, შომახეთში, ნიგვზარაში, მერჯევი, ივანწმინდაში მისასვლელ და საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; მოხვაში პეტრიაშვილების უბანში, ცხომარეთში – ქვემო უბანში, ლიჩში – ხარაიშვილების უბანში გზის გასწვრივ გაბიონების მოწყობა; ცხომარეთში



ზედა უბანში სამ ადგილზე, ქორეთში, ჭორვილაში ემზარი გამგებლის სახლთან გზაზე წყალგამტარი მილების მოწყობა; ხვანში-რიკაძეების უბანში გზის გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობა; ივანწმინდაში ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე მილის მოწყობა; სოფელ საირხეში (მესხების უბნიდან სოფელ მერჯევის დეკანოიძეების უბანამდე) საავტომობილო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა, ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების: ქორეთის, კალვათის და პასიეთის საავტომობილო გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა, სოფლების გორისა-გამოდმა არგვეთი-სავანე-არგვეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფლების გაღმა მთაში, სხვიტორისა და ჩიხის დამაკავშირებელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა. გაგრძელდება სოფელ კორბოულში სისვამეების უბანში, მერჯევისა და საირხის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის, ციხე მოდინახისაკენ მიმავალი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, საჩხერე-ქორეთის, სოფელ კორბოულში ჩიჩინას გორადან საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრამდე მიმავალი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ კორბოულში სისვამეების უბანში, სოფელ კორბოულში ჩიჩინას გორადან საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრამდე, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერჯევისა და საირხის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. ჭალოვანიდან წმანში ასასვლელ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მოსახლეობისათვის. ყველა კატეგორიის დასახლებებში, საწარმოო და საყოფაცხოვრებო, ჩამდინარე წყლების, გამწმენდი ნაგებობების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და განვითარება. ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, ასევე დღე-ღამის ბნელ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის განათება, ამისათვის აუცილებელია არსებული ქსელის მოვლა პატრონობა. მოსახლეობის წყლის სისტემით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მესაკუთრეების დახმარება შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და გარემოს მოვლა-პატრონობასა და განვითარებაში, ქალაქის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდისათვის აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა.

. პროგრამის მიზანი: ნაპირსამაგრი ნაგებობების, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება; წყლის მომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირება; კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია; გარე-განათების მოვლა-პატრონობა.

. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა; მოწესრიგებული საკანალიზაციო, სანიაღვრე არხები და წყლის მომარაგების სისტემა; შეღებილი ფასადის მქონე მრავალბინიანი სახლების რაოდენობა; განათებული ქალაქი; გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე;

1.2.1 მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების (გაბიონების) პროექტირება და სხვა.

1.2.2 საკანალიზაციო სისტემის, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. სოფლებში: ჩიხაში, ასანიძეების უბანში დალი გიორგაძის სახლთან; ქვედა ორღულში, ვლასი ჭილაძის სახლიდან ჯანერი ჭილაძის სახლამდე; ღონაში შემავალ უბნებში; იცქისში; საირხეში-ცენტრალური გზის გასწვრივ ასევე საირხეში კურტანიძეებისა და შუკაკიძეების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა; საპროექტო საზედამხედველო მომსახურება. იცქისის კანალიზაციის სისტემის შიდა ქსელის მეორე მონაკვეთის მოწყობა (რგფ; თანადაფინანსება); ქ. საჩხერეში რუსთაველის ქუჩაზე ეგრეთ წოდებული გელბახიანების ტბის სადრენაჟე არხის მოწყობა და სხვა.

1.2.3 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 04)



პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სანაპიროს ქუჩაზე 8 სართულიან კორპუსში ლიფტების რეაბილიტაცია და სხვა.

1.2.4 საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასმელი წყლის პროექტირება და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა. კერძოდ: სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები; სოფელ ცხამის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა (რფგ; თანადაფინანსება). საპროექტო საზედამხედველო მომსახურება.

სოფლებში: დუნთაში, კორბოულში გოგატიშვილების უბანში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, სოფელ შომახეთში ტირიების უბანში წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, სოფელ იტავაზაში დურევის უბნის, ცხამში ეთო-ეხვევის უბნის, არგვეთში კიპაროიძეებისა და ქვათაძეების უბნის წყალმომარაგების სისტემების მოწყობა და სხვა.

1.2.5 გარე განათება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. საჩხერეში არსებულ გარე განათების ქსელზე მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები. ქ. საჩხერეში გარე განათების მოწყობის სამუშაოები სააკაძის, დოსითეოს წერეთლის, კონსტიტუციის, ჯაფარიძის, შათაშვილის ჩიხი და სხვა.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში ქალაქის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა არსებული შადრევნის ექსპლოატაცია, სკვერების რეაბილიტაცია, არსებულ სკვერებში და მოედნებზე მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბეღვა, სკვერებში და გაბიონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა. გარე-განათების ტექნიკური მომსახურება, ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა. ასევე დაგეგმილია ახალი სკვერების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, რაც უფრო მიმზიდველი იქნება მოსახლეობისა და ტურისტებისათვის.

. **პროგრამის მიზანი:** მოვლილი სკვერები და გაზონები; განათებული ქალაქი; მოსახლეობისათვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა; გასართობი ადგილების რაოდენობა; შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირების ეტაპობრივი უზრუნველყოფა.

. **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ექსპლოატირებული და რეაბილიტირებული სანათი წერტილების რაოდენობა; მოწყობილი დასასვენებელი და გასართობი ადგილების რაოდენობა; შექმნილი სუფთა გარემო; გამწვანებული და მოვლილი ინფრასტრუქტურა; ტურისტთა რაოდენობა;

1.3.1 დასუფთავების, განწვანებისა და გარე-განათების მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩებში, სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბეღვა, სკვერებში და გაზონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა. გარე-განათების ქსელის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების გატანა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, სასფლაოების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების იზოლირება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჩხერე-პერევის მარშრუტზე მგზავრთა მომსახურება და სხვა.

1.3.2 სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ ჭორვილაში წერეთლის უბნის სასაფლაოს შემოღობვა; ქ. საჩხერეში სასაფლაოს ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა და სხვა.



1.3.2 სკვერების მოწყობა და მომსახურება (პროგრამული კოდი 03 03 03)

ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია სოფლებში სკვერების მოწყობითი სამუშაოები კერძოდ: სოფელ სარეკში „ომში დაღუპულთა“ მემორიალის და სკვერის ღობის რეაბილიტაცია; სოფელ არგვეთში მუხრან მაჭავარიანის სკვერის კეთილმოწყობა; სოფლებში: ჭორვილაში, ივანაშვილების უბანში, ჯალაურთაში სოფლის ცენტრში, მერჯევში, დეკანოიძეების უბანში, სკვერის მოწყობა; მერჯევში, მემორიალის რეაბილიტაცია და სკვერის მოწყობა; კორბოულში ჩიჩინას გორაზე არსებული სკვერის მიმდებარედ სველი წერტილის მოწყობა; ასევე სკვერების ელ. ენერჯისა და წყლის ხარჯების დაფინანსება. სოფელ სხვიტორის ტერიტორიაზე გოდოურას წყაროსთან და ქ. საჩხერეში ყოფილი მეთესლეობის ლაბორატორიის ტერიტორიაზე სკვერების პროექტირება; ქ.საჩხერეში მდინარე ყვირილის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფელ არგვეთში მუხრან მაჭავარიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა, რაც კომფორტულ გარემოს შეუქმნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სხვადასხვა შენობების პროექტირება; სოფელ ბაჯითის სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა; სოფელ ჩიხაში, აეროპორტის მოპირდაპირე მხარეს ცუხიშვილების უბნის შესახვევში სამგზავრო მოსაცდელის მშენებლობა; სოფელ ჩიხაში, ადმინისტრაციული შენობისა და ეზოს კეთილმოწყობა; სოფელ ზედა ორლულში, ლესერის მიმდებარედ სამგზავრო მოსაცდელის მშენებლობა; სოფელ ჭალაში ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა; სოფელ ბახიოთში, გორისაში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა; სოფელ საირხეში, ყოფილი კანტორის ტერიტორიის ეზოს შემოღობვა; სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ შენობის კეთილმოწყობის სამუშაოები; სოფელ ჭალოვანში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა ოთაშვილების უბანში; სოფელ ჭალოვანში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა „კაცინების“ უბანში; სოფელ მერჯევში, წვენიების უბანში და ივანწმინდაში ხომასურიძეების უბანში მოსაცდელის მოწყობა; დურევის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია და სხვა.

. **პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის სოფლებში კეთილმოწყობილი სარიტუალო დარბაზები; მოსაცდელეები; კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობები და ეზოები;

. **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** რეაბილიტირებული სარიტუალო დარბაზები და ადმინისტრაციული შენობების რაოდენობა; კმაყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებული ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა ზოგადი განათლების ხელშეწყობას და სკოლისგარეშე დაწესებულებების დაფინანსებას. მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების რემონტი; ასევე ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას და სხვა.

. **პროგრამის მიზანი:** აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა; სწავლის დონის მაღალი მაჩვენებელი; სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები; სკოლებში სუფთა გარემოს შექმნა; მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი და ტექნიკური უნარ-ჩვევების ამაღლება.

. **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ფიზიკურად და ტექნიკურად აღზრდილი ბავშვები, მათი სკოლისათვის მზაობა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით; გამოვლენილი ნიჭიერი ახალგაზრდების რაოდენობა; სკოლებში და საბავშვო ბაღებში შექმნილი სუფთა გარემო.

2.1 გაერთიანებული საბავშვო ბაღი (პროგრამული კოდი 04 01)

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს 21 ერთეული საბავშვო ბაღი. რომელიც



მედგება 44 სააღმზრდელო ჯგუფისაგან. საბავშვო ბაღებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“. არსებულ ბაღებში ირიცხება 1300 აღსაზრდელი, რომელთა აღზრდას მოემსახურება 319 აღმზრდელი და ტექნიკური მუშაკი.

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის მიზანია, აღსაზრდელთა მომზადება სასკოლო ეტაპისათვის. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა.

2.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტირება; საპროექტო საზედამხედველო მომსახურება; მოხდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა; საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა.

2.3 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

მოსწავლე ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის განხორციელებისათვის განსაზღვრულია ა(ა)იპ „საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ ხარჯების დაფინანსება. აქ ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სტუდიები, სადაც მოსწავლეები ეუფლება შესაბამის სკოლის გარეშე განათლებას, ეროვნული ღირებულებებისა და სამოქალაქო ცნობიერების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას, ანალიტიკური აზროვნების უნარს, თავისუფალი დროის სწორი განაწილების უნარს და თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებას.

2.4. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა: მოხდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტირება; სოფელ არგვეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა; სოფელ ჩიხასა და ჭალაში საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა (რფგ; თანადაფინანსება); საპროექტო საზედამხედველო მომსახურება; სოფელ არგვეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა; სოფელ საირხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და სხვა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)
მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

. **პროგრამის მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა და წარმატებული სპორტსმენების რადენობის ზრდა; მოსახლეობის მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში; კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია; ამ მხრივ ტურისტების მოზიდვა; დაცული, მოვლილი საბიბლიოთეკო ფონდი; საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება; ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში; ფუნქციონირებადი ეკლესიები.

. **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა; კვალიფიკაციური



პედაგოგებისა და მწვრთნელების მოზიდვა; ახალგაზრდების ჩართულობა სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ჯანსაღი მომავალი თაობა; კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის გაზრდილი მაჩვენებელი; ახალგაზრდების ხალხური ხელოვნების სფეროს მიმართ ინტერესი; საბიბლიოთეკო ფონდში არსებული წიგნების რაოდენობა, მკითხველთა გაზრდილი რაოდენობა ბიბლიოთეკებში. შესაბამისი ლიტერატურის მიწოდებით კმაყოფილი მოსახლეობა; ახალგაზრდული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა; ჩატარებული წირვების რაოდენობა; მრევლის გაზრდილი რაოდენობა.

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლის, საცურაო აუზისა და ძალოსნობის დარბაზის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა, ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელება იმედის მომცემ სპორტსმენებზე ჯილდოს გაცემა. იგეგმება სპორტული მოედნების მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მასშტაბის სპორტული ღონისძიებების მოწყობა. კერძოდ: ფეხბურთში, ჭადრაკში, კრივში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში და სხვა. ამასთან იმედის მომცემ სპორტსმენებზე წლის განმავლობაში გაიცემა სხვადასხვა სახის ჯილდოები.

3.1.2 საჩხერის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „საჩხერის სასპორტო სკოლა“, რომელიც მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. აქ არსებულ 11 სხვადასხვა სახეობის სპორტულ წრეში ჯანმრთელობას იკაჟებს 510 ბავშვი. მოხდება სოფელ ივანწმინდისა და საჩხერის ხელოვნურსაფარიანი სტადიონების შენახვის ხარჯი და სხვა.

3.1.3 საჩხერის საცურაო აუზი (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „საჩხერის საცურაო აუზი“. საკუთარ შემოსავლებთან ერთად დაფინანსებას ღებულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაც. აქ სპორტული მკურნალობის კურსს გადის სქოლიოზითა და სხვადასხვა ტრამვებით დაავადებული ბავშვები. ასევე ყურადღება ექცევა ნიჭიერი ახალგაზრდების სათანადო მომზადებას წყალბურთში, ცურვაში და ხუთჭიდში, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და ხელშეწყობას.

3.1.4 სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების მშენებლობა- რეზილიტაცია, ასევე პროექტირება. სპორტული მოედნების კეთილმოწყობა სხვადასხვა სპორტული ტრენაჟორებით, საჩხერის ცენტრალური სტადიონის პროექტირება; ე. საჩხერეში ცენტრალური სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინი სტადიონების სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტრენაჟორების მოწყობისათვის პროექტის მომზადება; ე. საჩხერეში ს. დურმიშიძის ქუჩაზე დავით მოსიაშვილის სახელობის მინი სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ტრენაჟორების მოწყობა; რაჭის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სხვა.

3.1.5 საჩხერის ძალოსნობის დარბაზი (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ დაოსტატებას, მაღალი შედეგების მიღწევისათვის ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით ძლიერ ძალოსნებად ჩამოყალიბებას. ძალოსნობის დარბაზში საწვრთნელ ვარჯიშს გადის 50 ბავშვი, რომელთა აღზრდას კურირებს 6 მწვრთნელი.



3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ა(ა)იპ-ის ფორმით დაფუძნებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლების და მუზეუმების სულ 8 ერთეული კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება. შრომის ანაზღაურებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები და სხვა.

3.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა გასართობი, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვას კერძოდ: სახალხო დღესასწაული „საჩხერლობა“; საშობაო-საახალწლო ღონისძიება; გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო ღონისძიებები; გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რელიგიური, სახელმწიფო, სახალხო დღესასწაულები და სხვა.

3.2.2 კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, პროექტირება, კეთილმოწყობა; „ჯრუჭის“ მონასტრის რეაბილიტაცია, სოფელ არგვეთის კულტურის სახლის მშენებლობა; სოფელ არგვეთში პაოლო იაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა.

3.2.3 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა“. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობასთან, მოხდება მკითხველთა დაახლოება წიგნთან, ბიბლიოთეკასთან და თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ასევე განხორციელდება დისკუსია-საუბრები; თემატური საღამოები; წიგნის პრეზენტაციები; პოეზიის საღამოები; მხატვრული კითხვის კონკურსები; ვიქტორინები; ინფორმაციის დღეები და სხვა.

3.2.4 საჩხერის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ობოლა ციმაკურიძის სახელობის საჩხერის კულტურის ცენტრი“. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის, მათი კულტურული გართობა მოთხოვნათა მაქსიმუმის გათვალისწინებით, პროცესებში შეუზღუდავი მონაწილეობა, კულტურულ ურთიერთობათა განვითარება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელოვნების სფეროთი დაინტერესება, სტიმულირება და სხვა.

3.2.5 კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სოფელ სარეკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო საქმიანობაში ხელშეწყობა და აქტიური ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში.

3.2.6 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, სისტემატიზაცია, პოპულარიზაცია. თეორიისა და პრაქტიკული ქმედების შერწყმა ისტორიის კვლევისა და შესწავლისათვის, კოლექციების კულტურასა და საგანმანათლებლო საქმეში ჩართვა. ტურიზმის განვითარება, შემოქმედებითი ინოვაციების დანერგვა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვა.

